

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარის ტარიელ არაშიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან (2014 წლის 2 აგვისტო)დღემდე განხორციელებული
საქმიანობის შესახებ.

2012 წლიდან დღემდე ვარ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული
ოცნების „წევრი.2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების
შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამირჩიეს სოფელ კონჭკათის
მაჟორიტარ დეპუტატად, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს
პირველ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა 38 ხმით ამირჩიეს საკრებულოს სივრცით-
ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2014 წლის აგვისტოდან დღემდე)ჩემს
საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2014 წლის 13 აგვისტოს საკრებულოს II სხდომაზე დავამტკიცეთ კომისიის
შემადგენლობა 21 წევრით. ესენი გახლავთ: ნუგზარ ურუშაძე, ტიტე მგელაძე, გენადი
მესხიძე, კახა გობრონიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი,ირაკლი ჩხაიძე, დავით სიხარულიძე,
ხვიჩა წულაძე, შალვა დოლიძე, ილია მამალაძე, რესან გაბაიძე, ვლადიმერ ჩავლეშვილი,
ბონდო ღლონტი, ბიძინა იმნაიშვილი, დავით მჟავანაძე, ვახტანგ ნიჟარაძე, მიხეილ
გოგოტიშვილი, გურამ კოჩალიძე, მერაბ ბერაძე, ინგა დუმბაძე.

მინდა ორიოდე სიტყვით მიმოვიხილო „ქართული ოცნების მიერ განხორციელებული
პროექტები,რომლებიც ნამდვილად მაშტაბური და უპრეცედენტოა.მისასაღმებელია ის
ფაქტი რომ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტებს შორის პირველ პოზიციაზე
ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება დაასახელა. მოგეხსენებათ რომ თუ არ

მოწესრიგდა გზის, სასმელი და ტექნიკური წყლის, შუქისა და გაზის პრობლემები ისე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოუდგენელია. მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში მშენებლობის დასრულების შემდეგ თბილისსა და ბათუმს შორის მანძილის დაფარვას სულ რაღაც 3-სთ დასჭირდება. უპრეცედენტო იყო ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში 2014 წელს, რაც ტურისტებისათვის კომფორტული პირობების შექმნამ განაპირობა.

დღეს საქართველოში დაზღვეულია საქართველოს ყველა მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის მსგავსი პროექტი 2013 წლამდე არ განხორციელებულა, ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის ექიმებისა და ექთნების შრომის ანაზღაურებას, მათი ხელფასები 30 %-ით გაიზარდა. 10000 მოქალაქე C ჰეპატიტის სამკურნალო მედეკამენტების 60 %-იანი დაფინანსებით სარგებლობს და ამ დიაგნოზის მატარებელი პაციენტების მკურნალობა სრულიად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. მოგეხსენებათ, ეს მართლაც საშური საქმე იყო, რადგან ჩვენს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ დიაგნოზით არაერთი პაციმარი იტანჯებოდა და იღუპებოდა.

სახელმწიფომ იზრუნა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და შობადობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყოველ მესამე შვილზე ორ წლამდე ფინანსურ დახმარებას მთაში - 200, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით. 2013 წლამდე არ განხორციელებულა მსგავსი პროექტი განათლებაში: სკოლის ყველა მოსწავლე ღებულობს უფასო სახელმძღვანელოების სრულ კომპლექტს. 12000 - მდე სტუდენტი უფასოდ სწავლობს პროფესიულ კოლეჯებში, სახელმწიფო ასევე სრულიად აფინანსებს 21 საბაკალავრო პროგრამას უმაღლეს სასწავლებლებში. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაშინ როცა 2010-2011 წლებში გარემონტდა მხოლოდ 527 სკოლა. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში საფინანსოდა 147 სტუდენტი. 2013-2014 წლებში გლეხებმა მიიღეს 300 მინიონ ლარამდე დახმარება, გაიცა კომპენსაციები სოფლის მეურნეობაში მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება 150 ლარამდე გაიზარდა პენსიონერებისა და I ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირების პენსია.გაორმაგდა დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები.შეწყდა პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა.საერთაშორისო სამხედრო მისიებში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების კომპენსაცია 15 000 - ის ნაცვლად გახდა 100 000 ლარი, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში და საერთაშორისო მისიებში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიური შემწეობა; ასევე თითქმის გაორმაგებული თანხები ჩაიდო კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

კომისიის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად განხილული საკითხები პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს.საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 11 კომისიის სხდომა (მათ შორის 1 ერთობლივი სხდომა საკრებულოს აგრარულ კომისიასთან ერთად) კომისიამ განიხილა საკითხები და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს. მუნიციპალიტეტში არ ყოფილა მნიშვნელოვანი პრობლემა ინფრასტრუქტურის კუთხით რაზეც არ ემსჯელოს კომისიას და თავისი დასკვნები და შეფასებები არ გამოეტანოს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდი დამსახურება გახლავთ ის რომ გასული წლის ბოლოს ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდები რამაც ხელი შეუწყო თანამდებობებზე კომპეტენტური ადამიანების დანიშვნას.

მუნიციპალიტეტმა დიდი სამუშაოები შეასრულა კურორტ გომისმთაზე, მოხდა 19 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია, გაკეთდა სამანქანო გზა ჭინჭაოს ტბამდე. 2015 წლისათვის იგეგმება კურორტ გომისმთის სასმელი წყლისა და შუქის პრობლემის მოგვარება,ასევე უზარმაზარი პროექტები ხორციელდება კურორტ ურეკში, სასმელი წყლისა და კანალიზაციის სრულიად ახალი სისტემის გაკეთება იგეგმება .

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინიციატივებით გამოიჩინა თავი ჩვენმა კომისიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის საქმეში, ადილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა,რომლის მოცულობაც შეადგენს 50 000 ლარს, ამ თანხით დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები რომლებიც 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ 100% გრანტს.კონკრეტულად, თითოეულ ასეთ სტუდენტზე გაიცემა 3000 ლარი, ხოლო 1000 ლარით დასაჩუქრდება სკოლა , რომელმაც ასეთი ახალგაზრდის აღზრდას შეუწყო ხელი.

მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაზე და ბიუროზე, აგრეთვე, 5 შეხვედრა ჩავატარე სოფლის მოსახლეობასთან, რაც დადასტურებულია ოქმებით. შეხვედრის დროს გამოიკვეთა პრობლემები: 1. გაზიფიცირება.

2. შიდა გზების მოხრეშვა დაგრიდებრა.

3. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე სუფსაზე.

4. მოსახლეობის დასაქმება.

5. გარე განათების მოწესრიგება.

6. ცენტრალურ უბნებში სასმელი წყლის პრობლემა.

2014 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთობლივი მუშაობით გადაწყვიტეთ შემდეგი პრობლემები:

1) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქართუ ჯგუფის დახმარებით მოხდა მონასტრის მთაზე „ღვთისმშობლის მიძინების“ ტაძრის აღდგენა რესტავრაცია.

2) სოფლის ცენტრალურ სასაფლაოზე აშენდა ტაძარი რომელიც მოქმედია და მრევლს აღარ უწევს სხვა ტაძრებში წასვლა მოსალოცად, როგორც საკრებულო, ასევე, გამგეობა დახმარებას ვუწევთ ტაძრის მშენებლობას შესაძლებლობის ფარგლებში.

3) 2015 წელს დასრულდება მერია - კონკკათის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონით გზის სავალი ნაწილის მოწყობა რომლის სიგრძე 5,2 კმ - ია აქედან 2 კმ უკვე დასრულებულია 2014 წელს.

4) ასევე 2015 წლისათვის იგეგმება სოფლის ცენტრიდან ორმეთის მიმართულებით 1,5 კმ გზის მოხრეშვა - დაგრიდებრა საასფალტედ მომზადება.

5) 2014 წელს დაიგო 550 მეტრი სიგრძის ბეტონის გზა სხვადასხვა უბანში. ასევე ძალიან ახლო მომავალს იგეგმება 415 გრძივი მეტრის ბეტონის მოწყობა სუსკურისა და მახაისფონის უბნებში.

6) 2014 წელს ევრორემონტი ჩატარდა სოფლის ადმინისტრაციულ შენობას, რომელიც ეხლა ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტში. შენობის I სართულზე განთავსდა მინი - მარკეტი და ლიბერთი ბანკის სერვისცენტრი, რომელიც სოფლის მოსახლეობის თხოვნა იყო და ნამდვილად წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

7) იგეგმება სასაფლაოების შედობვა, განათება და მოვლა-პატრონობა.

8) ასევე ვაპირებთ შიდა გზების არხების ამოწმენდასა და მოხრეშვა დაგრეიდერებას.

9) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და „სოკარ გაზის“ დირექტორთან გვქონდა საქმიანი შეხვედრები, მივიღე დაპირებები 2015 წლისათვის გაზიფიცირების სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით.

10) “ენერგო-პრო-ჯორჯიას” - ს ხელმძღვანელობამ მოგვცა პირობა, რომ წელს შეიცვლება ელექტრო გადაცემის ბოძები სუსკურისა და სანიჩქალის უბანში.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 - ივე სხდომის მომზადებასა და მუშაობაში. მიღებული იქნა 100 განკარგულება დამტკიცდა 49 დადგენილება. ვგრძნობ იმ დიდ პასუხისმგებლობას რასაც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობა ჰქვია. თუ ჩემს დეპუტატობას შევაფასებ გამოვეყოფ რამდენიმე საკითხს, რომელიც სასიამოვნოცაა და ერთგვარ დისკომფორტსაც მიქმნის. დადებითია ის რომ : 1) გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი, ვეხმარები ადამიანებს პრობლემების მოგვარებაში ძალიან ბევრ მოქალაქეს გავუწიე ერთგვარი დახმარება. პოზიტивით მავსებს სხვისთვის გაწეული სამსახური. 2) დისკომფორტს მიქმნის ის რომ ვერ ვახერხებ ყველასთვის დახმარების აღმოჩენას.